NCC რუსთაველზე HSBC-ის სათაო ოფისის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებს 4 თვეში დაასრულებს

თამუნა ფეიქრიშვილი

7 ნოემბერს რეკონსტრუქციისა და განვითარების კომპანია "ჯიარდისში" კომპანია "NCC" და ბრიტანულ ბანკ "HSBC"-ს შორის თბილისში "HSBC"-ის სათაო ოფისის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების წარმოების შესახებ ხელშეკრულება დაიდო. სათაო ოფისის სარემონტო სამუშაოები რუსთაველის N15-ში, რუსთაველის თეატრსა და სასტუმრო "მარიოტს" შორის იგეგმება.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოში "HSBC"-ის ფილიალის გენერალურმა დირექტორმა სტივენ ბენეტმა და "NCC"-ის გენერალურმა დირექტორმა ერჯან გიუნეშმა.

მკითხველს შევახსენებთ, რომ "NCC" სამი წელია, რაც დაარსდა, მასში უცხოელი და ქართველი სპეციალისტები თანამშრომლობენ. ამ ხნის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებულ პროექტებს - ამერიკის საელჩოს ახალი კომპლექსი, კინოქალაქები "ადამი და ევა", "დიღომი"; "თი ბი სი" ბანკის სათაო ოფისი და ფილიალები, ნარკოლოგიური ინსტიტუტის მშენებლობა, თბილისში მარჯანიშვილის ქუჩაზე "მწვანე შენობის" მშენებლობა-რეაბილიტაცია, EBRD-ის ოფისის დიზაინი - რომელთა მიზანიცაა შენობების სტრუქტურული, ინდუსტრიული, საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მიწისზედა და მიწისქვეშა მშენებლობის უმაღლესი სტანდარტების დაცვის გამო, "NCC" ხარისხის სერტიფიკატი ISO-9001:2000 მიენიჭა.

სტივენ ბენეტი: ჩვენი კომპანია ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ფინანსური კომპანიაა, რომელსაც მსოფლიოს 83 ქვეყანაში 10 000 ოფისი აქვს და რომლის მომსახურებითაც 130 მილიონი მომხმარებელი სარგებლობს. უახლოეს ხანში, ჩვენი კომპანიის ფილიალი თბილისის ისტორიულ შენობაში განთავსდება. "NCC" ტენდერის შედეგად შევარჩიეთ. დიზაინერები შენობის იერსახის შეცვლას არ აპირებენ, მნიშვნელოვანი გადაკეთება შენობის არც შიდა ინტერიერს დაემუქრება.

მხარეებმა პროექტის დასრულება 4 თვეში დათქვეს.